საბავშვო მოთხრობები მუამავალი -1

# ჩვენები

## საზაფხულო ბანაკში-1

# მუამავლის დაბადება



## ჩვენები საზაფხულო ბანაკში (1)

# შუამავლის დაბადება

ამ დილას ჩვენს სახლში სასიამოვნო ფუსფუსი იყო. საზაფხულო არდადეგებზე უნდა წასულიყვნენ. ყველაზე მეტად ბავშვები ღელავდნენ. მათ ბევრი იწვალეს, რათა მშობლები დაეთანხმებინათ. ბოლოს კი, როგორც იქნა მიდიოდნენ. მათ სასწრაფოდ მოამზადეს ჩანთები და ბაღში შეიკრიბნენ. ბანაკის ადგილამდე ავტობუსით უნდა წასულიყვნენ. ავტობუსამდე მიღწევა კი ფეხითაც შეიძლებოდა. თითოეულ ბანაკში მხოლოდ თანატოლები მიდიოდნენ, ამიტომ სხვადასხვა ავტობუსით უნდა წასულიყვნენ. ქერიმი, სალიჰი და მეჰმეთი ერთი ავტობუსით მიდიოდნენ. ომერი კი, რადგან ყველაზე უფროსი იყო სხვა ავტობუსით უნდა გამგზავრებულიყო. რა თქმა უნდა სელმასა და ბეთულის ავტობუსებიც სხვადასხვა იყო. თუმცა მათი ბანაკები ერთმანეთთან ახლოს იყო. შეიძლებოდა სხვადასხვა აქტივობების დროს ერთმანეთს შეხვედროდნენ კიდეც.





ბავშვებმა თავიანთი ჩანთები ავტობუსის საბარგულში მოათავსეს. ახლა კი მშობლებთან გამომშვიდობების ჯერიც დადგა. მშობლებისგან ასე შორს პირველად უნდა დარჩენილიყვნენ. ყველა  სათითაოდ გადაეხვია დედას და ასე გამოემშვიდობა. ცოტათი მოწყენილებმა მშობლებს ხელი დაუქნიეს და ავტობუსი მზის ოქროსფერი სხივების ანარეკლში დაიძრა. იმ ავტობუსის გამცილებელი, სადაც ქერიმი იჯდა, წამოდგა და ბავშვებს გაეცნო.

- გამარჯობა ბავშვებო. მე აჰმეთი ვარ. ვსწავლობ სპორტის აკადემიაში. ბანაკში თქვენთან ერთად ვიქნები და შევეცდები ყველა საკითხში დაგეხმაროთ. თუ რამე დაგჭირდებათ ან პრობლემა გექნებათ შეგიძლიათ მე მომმართოთ. თქვენს შორის არიან ისეთებიც, რომლებიც ბანაკში ადრეც იყვნენ. ზოგიერთ თქვენგანს კი ახლა გავიცნობ. დარწმუნებული ვარ ყველანი ერთად კარგ არდადეგებს გავატარებთ.

- იცით ბავშვებო, როდესაც თქვენს ასაკში ვიყავი მეც დავდიოდი ბანაკში. პირველად როცა მივდიოდი დედასთან განშორება ძალიან გამიძნელდა. ახლაც მახსოვს, როგორ მენატრებოდა დედა და მამა. თუმცა, ამის მიუხედავად ძალიან კარგად გავერთე. ხომ ხედავთ, ამ ასაკშიც კი ისევ მოვდივარ ბანაკში.

ბავშვების ნაწილს გაეცინათ.

მეჰმეთმა და სალიჰმა ერთმანეთს გადახედეს. მათ უკვე ენატრებოდათ თავიანთი მშობლები.

- დიახ მეგობრებო, თუ რაიმე შეკითხვა გაქვთ, შეგიძლიათ მკითხოთ.

წინა სავარძელში მჯდომმა ერთერთმა ბავშვმა იკითხა:

–აჰმეთ, ბანაკში, რომელიც ტყეშია მტაცებელი ცხოველები არიან?



აჰმეთმა გაიღიმა და უპასუხა:

- არა მეგობარო, იქ, სადაც მივდივართ მტაცებელი ცხოველები არ არიან. მხოლოდ ფრინველები, ჭიანჭველები და მწერები არიან. ასევე არიან ბაყაყებიც. იმედია, მოგვიანებით ყველანი ერთად ზოოპარკშიც წავალთ.

ბავშვებმა ერთხმად შეძახეს:

- წავიდეეეთ!

ბავშვებმა სიმღერა დაიწყეს და ასე გააგძელეს გზა.

სალიჰი და მეჰმეთი გვერდიგვერდ ისხდნენ. ქერიმი კი მათ უკან იჯდა. მეჰმეთი მთელი გზის განმავლობაში გაუჩერებლად ლაპარაკობდა. თუმცა, ამის მიუხედავად სალიჰს მაინც ჩაეძინა.





ბოლოს, როგორც იქნა მიაღწიეს ბანაკის ადგილს. ავტობუსიდან ჩამოსულ ბავშვებს ჩიტების ჭიკჭიკი შემოესმათ. ტყის მწვანე სიგრილემ ბავშვები საოცრად დაამშვიდა. ცოტა მოშორებით ტბის მწვანე შუქი მოდიოდა.

ბავშვებმა აიღეს თავიანთი ჩანთები და რიგში ჩადგნენ. აჰმეთმა ყველას ჯიბის ფანრები ჩამოურიგა. ასევე ჩამოურიგა საძილე ტომრებიც, სადაც ბავშვები ღამით დაიძინებდნენ. ყოველი ოთხი ბავშვისთვის თითო კარავი იყო განკუთვნილი. მეჰმეთი და სალიჰი იბრაჰიმთან და იავუზთან ერთად უნდა დარჩენილიყვნენ კარავში. ქერიმი კი თავის სკოლის მეგობრებთან, სულეიმანთან, ალისთან და ჰაქანთან ერთად იქნებოდა.

აჰმეთის დახმარებით მალე კარვებიც გაიშალა. ბანაკის ადგილი, სადაც ექვსი კარავი იყო გაშლილი პატარა ღობით შემოღობეს. კარვებს შორის ცარიელი აადგილი იყო დატოვებული. ღობის გარეთ, ყოველი მხრით ნაირფერადი ყვავილები იყო გაშლილი. ღობის გარეთ ცოტა მოშორებით საშხაპე და საპირფარეშო იყო განლაგებული. ყოველი კარავი ორ ნაწილად იყო გაყოფილი. ერთ ნაწილში საძილე ტომრები ელაგა, ხოლო მეორე მხარეს ჩანთები და სხვა საგნები იყო მოთავსებული. ბავშვები დიდი ხანი მუშაობდნენ, ამიტომ უკვე მოშივდათ. ბანაკის ადგილი შუაგულ ტყეში იყო. თუმცა დასახლებული პუნქტი არც თუ ისე შორს იყო. ამიტომ ბავშვების საკვები ყოველდღე  ქალაქიდან უნდა ამოეტანათ.

–ჭამის დრო მოვიდა. უთხრა ბავშვებს აჰმეთმა.

ბავშვები უმალ შეიკრიბნენ და საჭმლის ასაღებად რიგში ჩადგნენ.

აჰმეთმა მანქანიდან საჭმელი გადმოიღო, იქვე დადგმულ ხის მაგიდაზე მოათავსა და ბავშვებს ჩამოურიგა.



ბავშვებმა საჭმელი აიღეს და კარვებს შორის დარჩენილ ცარიელ ადგილას ჩამოსხდნენ. მათ მაშინვე დაიწყეს ჭამა. იბრაჰიმი, რომელმაც თავისი წილი საჭმელი აიღო და მეჰმეთის გვერდით ჩამოჯდა თან ბუზღუნებდა:

–ოჰ, სულ რიგში როგორ უნდა ვიდგეთ? სულაც არ მომწონს ეს რიგში დგომა.

– ამდენი ბავშვი თუ ერთად და ორგანიზებულად არ იმოქმედებს გასართობად დრო აღარ დაგვრჩება.

ახლომახლო ვისაც ესმოდა ყველამ სალიჰი გაამართლეს. მართალს ამბობო, უთხრეს.

იბრაჰიმმა მხრები აიჩეჩა და

–მე მაინც არ მიყვარს რიგში დგომაო, ჩაილაპარაკა.



muslimgeorgia

ჭამის შემდეგ, ბავშვებმა წყლის ბოთლები აიღეს. ახლა უკვე გასეირნების დრო იყო. აჰმეთი ჯგუფს წინ გაუძღვა და ცოტა მოშორებით ტბის სანახავად წავიდნენ. ტბას რომ მიუახლოვდნენ, ბავშვებმა ტბის ზედაპირზე მოტივტივე წყლის ველოსიპედები შენიშნეს, რამაც ისინი ძალიან გაახარა.

- ჩვენც გვინდა ამ ველოსიპედებზეეე!

ბავშვები პატარა ჩიტებივით აჟღურტულდნენ და აჰმეთის ირგვლივ აღტაცებული დახტოდნენ. აჰმეთს გაეღიმა და ბავშვებს უპასუხა:

–კარგი ბავშვებო, ველოსიპედებზე დავჯდებით. უფრო მეტიც, ჩვენ აქ შეჯიბრს გავმართავთ. თუმცა ჯერ მოითმინეთ. ჯერ რიგში ჩადექით.

ტბის ერთ მხარეს შემაღლებულ გორაკზე შეიკრიბნენ.

გორაკიდან ტბის ხედი ულამაზესად იშლებოდა. სამხრობის დრო იყო და მზე თვალისმომჭრელად ანათებდა ტბის ზედაპირს.  გორაკზე ასასვლელი გზა ზოგს გრძლად მოეჩვენა. დაღლილებმა იქვე ჩამოსხდნენ. მოპირდაპირე მხარეს კი მათი მეზობელი ბანაკი ჩანდა.

- ომერის ბანაკი ის უნდა იყოს. ნეტა ყველანი ერთად ვყოფილიყავით, თქვა მეჰმეთმა.



- ზოგჯერ შევხვდებითო ხომ თქვა ომერმა, იმედია მართლა შევხვდებით, –თქვა ქერიმმა. თანაც ბევრ ამბებს მოვუყვებით ერთმანეთს.

აჰმეთმა ბავშვები ნახევარწრიულად განალაგა და თან მათთან მისული შუახნის მამაკაცი გააცნო.

- მეგობრებო, ეს მუსტაფა მასწავლებელია. ტანვარჯიშის სპეციალისტი. დილაობით ის სპორტის გაკვეთილებს ჩაგვიტარებს.

- გამარჯობა მეგობრებო. დღეიდან, ყოველ დილას სპორტით დავკავდებით, ბევრს ვითამაშებთ და ბევრ სიახლესაც ვისწავლით.

მუსტაფა მასწავლებელს შავ თმაში ცოტათი ჭაღარა შემორეოდა. ღიმილიანი სახე ჰქონდა და ძალიან ტკბილად საუბრობდა. ცხადი იყო, ბავშვებს თავს სულ მალე შეაყვარებდა.



- აბა ბავშვებო, სპორტი ხომ სასარგებლოა?!

- დიახ მასწავლებელო, სპორტს თუ მივყვებით ჯანმრთელები ვიქნებით, თქვა იავუზმა.

მეჰმეთი, რომელიც რიგის თავში იყო საუბარში ჩაერთო:

- თუ ვივარჯიშებთ და კარგად ვიკვებებით უფრო ძლიერები ვიქნებით.

- დიახ ბავშვებო, თუ ვივარჯიშებთ ჩვენს სხეულებს გავწვრთნით. სპორტს ვინც მისდევს უფრო გამძლე და ძლიერია. რა თქმა უნდა კვებაც მნიშვნელოვანია. წმ. შუამავალი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სპორტს. სპორტი განსაკუთრებით ბავშვებისთვისაა მნიშვნელოვანი. სპორტის სახეობებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ცურვა, სირბილი, ცხენზე ჯირითი, მშვილდოსნობა და მსგავსი სხვა. სპორტის მიმდევარი ბავშვები ზარმაცი და მოუქნელები არ იქნებიან. ისინი ყოველთვის მოქნილები, სხარტები და ძლიერები არიან.

- ბავშვებო, ჩვენ სულ სხეულის სიჯანსაღეზე ვფიქრობთ და ვზრუნავთ. თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანია ჩვენი სულიერი სიჯანსაღე. სიკეთე, ზნეობა, მორალურობა, ზრდილობა, თავმდაბლობა, პატიოსნება, რწმენა და სიყვარული ჩვენი სულიერი საზრდოა.

აბა მითხარით, რა არის ლამაზი მორალი?

- სიმართლის თქმა და ტყუილის უთქმელობა, ყველას დაასწრო ქერიმმა.

- ადამიანებზე და ცხოველებზე კარგად მოპყრობა, თქვა იბრაჰიმმა.



- მართალია ბავშვებო, ტყუილი არ უნდა ვთქვათ. ასევე კარგად უნდა მოვექცეთ ადამიანებს და სხვა არსებებს. ეს ყველაფერი ჩვენი გამჩენის ბრძანებაა. თუ მის ბრძანებებს შევასრულებთ მორალურები და მაღალი ზნეობის მატარებლები ვიქნებით. ღმერთის ბრძანებები ჩვენ წმ. შუამავალმა შეგვასწავლა.

- ბავშვებო, წმ. შუამავალს კარგად უნდა ვიცნობდეთ. რამდენადაც კარგად ვიცნობთ მას, იმდენად კარგი პიროვნებები ვიქნებით. ამ საზაფხულო ბანაკში, წმ. შუამავლის გაცნობა, მოდით, სულ თავიდან დავიწყოთ.

– კარგი, დავიწყოთ, ერთხმად დაიძახეს ბავშვებმა.

ბავშვებს ეს მომღიმარი მასწავლებელი ძალიან მოეწონათ და სულგანაბული უსმენდნენ.

- დიახ მეგობრებო, წმ. შუამავლის დაბადებამდე უმეცრების ხანა იყო. ძლიერები სუსტებს ჩაგრავდნენ და ქალებს კი უფლებები საერთოდ არ გააჩნდათ. ადამიანების ნაწილი მონები იყვნენ და მათი ყიდვა–გაყიდვა შეიძლებოდა. უსამართლოდ დაჩაგრულს, პრაქტიკულად შანსი არ ჰქონდა, რომ სამართალი ენახა. ასევე გავრცელებული იყო ალკოჰოლი და ყუმარი. არც თაღლითობას ერიდებოდა ვინმე. ვაჭრები იტყუებოდნენ როგორც წონაში ისე ზომასა და ყველა საკითხში. კარგი ადამიანების რაოდენობა საკმაოდ შემცირებული იყო და ამასთანავე მტყუან–მართალს არავინ განასხვავებდა. სამართლიანი და კეთილი ადამიანები მხსნელს ელოდნენ. როგორც წარსულში ხდებოდა ხოლმე, ასეთ დროს ღმერთი შუამავლებს აგზავნიდა. სწორედ ამ პერიოდში მოევლინა წმ. შუამავალი დედამიწას. ეს იყო 571 წლის აპრილი.



წმ. შუამავალს მამა მანამდე გარდაეცვალა, სანამ ის დაიბადებოდა. მუჰამმედის დაბადება ბაბუას, აბდულმუტტალიბს ძალიან გახარებია. შვილიშვილი გარდაცვლილი შვილისგან მიბარებული ძვირფასი  ამანათი იყო მისთვის. ბაბუას ძალიან შეუყვარდა ჩვილი და ხელში აიყვანა. სახელი რა დავარქვათო, შეეკითხა ემინეს, შუამავლის დედას. შუამავლის დედამ კი თავისი სიზმარი მოუყვა. სიზმარში მას უთხრეს, შვილი გეყოლება და მუჰამმედი დაარქვიო.

ბაბუამაც ახალდაბადებულ შვილიშვილს მუჰამმედი დაარქვა. ეს სახელი მათი ოჯახისათვის უცხო იყო. ამიტომ ყველა დაინტერესდა, თუ რატომ დაარქვა ეს სახლი.

აბულმუტტალიბი ყველას პასუხობდა:

- ღმერთისთვის და ადამიანებისთვის საქებარი რომ იყოს იმიტომ დავარქვი ეს სახელიო.

მექას ჰაერი ძალიან ცხელი იყო. ბავშვების ჯანმრთელობისთვის ასეთი ცხელი ჰაერი ცუდ ზემოქმედებას ახდენდა. ამიტომ, როგორც წესი, ახალდაბადებულ ბავშვებს ძიძებს მიაბარებდნენ ხოლმე.

- წმ. შუამავლის ძიძა ვინ იყო, იცით ბავშვებო?





პასუხის გაცემა ყველას ქერიმმა დაასწრო:

- ვიცით მასწავლებელო, წმ. შუამავლის ძიძა იყო ჰალიმე. წმ. შუამავლის დაბადებიდან ერთი კვირის შემდეგ მისთვის ძიძა უნდოდათ ეპოვათ, მაგრამ ობლის ძიძობა არავის სურდა. ყველა ფიქრობდა, რომ გასამრჯელოს არავინ გადაუხდიდა. ბოლოს ჰალიმე დათანხმდა მუჰამმედის აყვანაზე. აიყვანა ჩვილი და თავის სახლში წაიყვანა. ბავშვის წაყვანისთანავე არამარტო ჰალიმეს ოჯახში, არამედ მთელ მხარეში ხვავი და ბარაქა უწყალობებია ღმერთს. ჰალიმეს საკუთარ შვილივით უყვარდა მუჰამმედი და კარგად უვლიდა. მუჰამმედი ხუთი წლისა რომ გახდა დედას დაუბრუნდა. ჰალიმეს ძალიან გაუჭირდა ბავშვთან განშორება.

- ყოჩაღ შენ. ძალიან კარგად მოგვიყევი. სახელი რა გაქვს?

- ქერიმი, მასწავლებელო.

- ყოჩაღ ქერიმ!



- როდესაც შუამავალი დედასთან დაბრუნდა, ნათესავების მოსანახულებლად, ისინი მედინაში გაემგზავრნენ. შუამავლის ბიძები, ანუ დედის ძმები მედინაში ცხოვრობდნენ. შუამავლის დედას სურდა ცოტა ხნით ძმებთან დარჩენილიყო, ამიტომ პატარა მუჰამეედიც წაიყვანა და მედინაში წავიდნენ. მედინაში ერთი თვე დარჩნენ და შემდეგ ისევ მექაში გაემგზავრნენ. გზაში მუჰამმედის დედა ავად გახდა და გარდაიცვალა. ის სოფელ ებვაში იქნა დაკრძალული. ამრიგად მუჰამმედი მამით ობოლი ისედაც იყო და დედითაც დაობლდა.



ბავშვებს შორის მოწყენილობამ დაისადგურა. ასეთ პატარა ასაკში მშობლების დაკარგვა რომ წარმოიდგინეს ყველანი შეწუხდნენ.

- გაგრძელების მსურველი არის ვინმე, ბავშვებო?

გაგრძელება მეჰმეთმა ისურვა.

- ამის შემდეგ, მუჰამმედი ბაბუასთან ერთად ორი წლის განმავლობაში ცხოვრობდა და ბაბუა მას ერთი წუთითაც არ მოშორებია. აბდულმუტტალიბი სადაც არ უნდა წასულიყო მუჰამმედიც ყველგან დაჰყავდა. ყოველთვის აქებდა და როცა შეეკითხებოდნენ, ამბობდა: "ჩემი ბიჭი როცა გაიზრდება დიდი კაცი გახდება"-ო. ამის შემდეგ ბაბუაც ავად გახდება და გარდაიცვლება. მუჰამმედმა ბაბუას სიკვდილი ძალიან განიცადა და ბევრი იტირა თურმე. მუჰამმედის ბიძამ ებუ თალიბმა ეს რომ დაინახა უთხრა: "ნუ მოიწყენ შვილო, ამის შემდეგ მე მოგხედავო". ბიძამ და ბიცოლამ დიდი სიყვარული და ყურადღება გამოიჩინეს მუჰამმედის მიმართ. საკუთარ შვილებში არ განასხვავებდნენ.

ებუ თალიბი ვაჭარი იყო და სავაჭროდ სხვადასხვა ქვეყნებში დადიოდა. მას ყოველთვის თან დაჰყავდა მუჰამმედი და არასოდეს მარტო არ ტოვებდა.

– შენც ძალიან კარგად მოგვიყევი. ყოჩაღ შვილო!

–დიახ მეგობრებო, დღეისათვის საკმარისია. მერე კიდევ გავაგრძელებთ შუამავლის უკეთ გაცნობას. თქვენ ყველანი ძალიან კარგი მსმენელები ხართ. ამისათვის დიდ მადლობას გიხდით.

– ჩვენც მადლობას გიხდით, შესძახეს ერთხმად ბავშვებმა.

აჰმეთმა ხილის წვენი მოიტანა და ბავშვებს ჩამოურიგა. ვინც ხილის წვენს ბოლომდე დალევს შეუძლია ტბის პირას ჩავიდესო, დასძინა.

ბავშვებმა ეს რომ გაიგონეს სასწრაფოდ დალიეს ხილის წვენი და მხიარულად გაიქცნენ ტბისკენ.

